

შპს კარიერი
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს კარიერი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020	01.01.2020
შემოსავალი	2	2 978 994	3 507 803
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1 213 567)	(2 005 342)
საერთო მოგება		1 765 427	1 502 461
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	3	(483 081)	(434 328)
სხვა შემოსავალი		-	-
საოპერაციო მოგება		1 282 346	1 068 133
ფინანსური შემოსავალი		-	-
არასაოპერაციო ხარჯები	4	(119 006)	(111 396)
მოგების გადასახადის ხარჯი		(128 159)	(158 216)
პერიოდის მოგება		1 035 181	798 521
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		1 035 181	798 521

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 26 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბუღალტერი

დირექტორი



ნანა სამხარაძე

ემზარ ბასილაია

შპს კარიერი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	545 631	41 721	100 841
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3 308 255	3 255 898	2 735 648
მარაგები	7	197 020	217 094	476 375
სულ მიმდინარე აქტივები		4 050 906	3 312 864	1 837 447
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები	8	33 971	37 619	51 269
ძირითადი საშუალებები	9	2 608 524	2 652 537	2 545 331
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 642 495	2 596 600	2 743 951
სულ აქტივები		6 693 401	6 204 869	5 909 464
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		23 036	51 167	111 703
თანამშრომლების მიმართ დავალიანება		926,672	932 846	757 799
გასაცემი დივიდენდი				37 014
დავალიანება ბიუჯეტის მიმართ		1 022 971	811 620	582 952
სხვა ვალდებულებები		1 200	2717	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1 973 879	1 798 350	1 489 468
გრძელვადიანი ვალდებულებები				
აღებული სესხი	11	833 314	831 281	770 688
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		833 314	831 281	770 688
სულ ვალდებულებები		2 807 193	2 260 156	2 564 136
საწესდებო კაპიტალი		202 000	202 000	202 000
გაუნაწილებელი მოგება		3 684 208	3 373 238	3 447 308
სულ საკუთარი კაპიტალი	12	3 886 208	3 575 238	3 649 308
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6 693 401	6 204 869	5 909 464

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის

მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ბუღალტერი

დირექტორი



ნანა სამხარაძე

ემზარ ბასილაია

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კარიერი (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 244563352 დაფუძნდა 2004 წელს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქალაქი ხობი, სტალინის ქუჩა N1.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალის მოპოვება და რეალიზაცია, ბეტონის წარმოება და რეალიზაცია, სამშენებლო მომსახურება.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელი 100%-იანი წილით და დირექტორი არის ემზარ ბასილაია (პ/ნ 39001000007).

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდენილია სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშებში ნეტო სიდიდით.

2020 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 1 იანვარს	2.8661	3.2143
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშებში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო. იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა. კომპანიას საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სავაჭრო ცენტრებთან მაღაზიების ფართებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფართის გამოსყიდვის უფლება. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი იჯარის თანხა გამოიქვითება პერიოდის მოგება/ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვთ აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური

აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის ნაშთის მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა). პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიას მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების კომპანიას) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	29 237
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2 944 333
სულ	2 973 570

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
ხელფასის ხარჯი	24 223
ცვეთა და ამორტიზაცია	298 726
საწვავის ხარჯი (საერთო-ადმინისტრაციული)	6 861
საბანკო ხარჯი	21 669
საკანცელარიო ხარჯი	269
საკონსულტაციო მომსახურება (საგად. აუდიტი)	1 271
დარიცხული გადასახადები	31 148
დამხმარე საწარმოო ხარჯი	187
სხვა ხარჯი	98 727
სულ	483 081

4. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020
საკურსო სხვაობიდან მიღებული	(2 223)
საღირებულებული ზარალი	
საპროცენტო ხარჯი	(92 949)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(23 834)
სულ არასაოპერაციო ხარჯი	(119 006)

მოგების გადასახადის ხარჯი 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის გვაქვს

128 159

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2020	31.12.2020
ფული სალაროში	39 806	543 525
ფული ბანკში	1 915	2 106
სულ	41 721	545 631

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2020	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 255 898	3 308 255
სულ ფინანსური აქტივები	3 255 898	3 308 255

7. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2020	31.12.2020
სამშენებლო საქონელი	13 440	10 049
მზა პროდუქცია	98 823	51 638
სხვა სათადარიგო მასალები	44 017	22 998
საწვავ-საცხები მასალები	40 060	4 310
ნედლეული და მასალები	20 754	108 025
სულ მარაგები	217 094	197 020

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ელექტრო ძრავები	სატრანსპორტო საშუალებები	დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	შენობები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
01.01.2020	28 767	2 131 957	1 592 276	15 545	1 595 396	126 778	5 490 719
შემოსვლა		198 423	6 369 (972)	3 558	24 377	6 602	239 329 (972)
გასვლა							
31.12.2020	28 767	2 330 380	1 597 673	19 103	1 619 773	133 380	5 729 076
დაგროვილი ცვეთა							
01.01.2020	(17 583)	(1 673 630)	(742 545)	(8 568)	(295 936)	(83 564)	(3 120 552)
გასვლა							
პერიოდის	(895)	(131 350)	(88 268)	(2 099)	(66 192)	(9 922)	(298 726)
ცვეთა							
	(18 478)	(1 804 980)	(830 813)	(10 667)	(362 128)	(93 486)	(3 419 278)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება							
31.12.2020	10 289	525 400	766 860	8 436	1 257 645	39894	2 608 524

9. არამატერიალური აქტივები

კომპანიის საკუთრებაში არსებული არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კარიერის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებით, თითოეულს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება ამ ვადების პროპორციულად.

10. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2020	31.12.2020
საგადასახადო ვალდებულებები	811 620	1 022 971
თანამშრომლების მიმართ დავალიანება	932 846	926 672
სავაჭრო ვალდებულებები	51 167	23 036
სხვა ვალდებულებები	2717	1 200
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 798 350	1 973 879

სავაჭრო და საგადასახადო ვალდებულებები წარმოქმნილია კომპანიის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობიდან.

კომპანიას ასევე უფიქსირდება თანამშრომლების მიმართ სახელფასო დავალიანების არსებობა, ვინაიდან დებიტორული დავალიანება არის დიდი ოდენობით დაგროვილი, სახელფასო დავალიანებების გასტუმრება ვერ ხერხდება.

11. მიღებული სესხები

კომპანიის მიერ წასესხები სახსრები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2020	31.12.2020
სესხი ქართუ ბანკიდან	561 385	450 259
სესხი საქართველოს ბანკიდან	269 896	186 444
სესხი თიბისი ბანკიდან	0	383 055
სულ	831 281	833 314

კომპანიის მიერ სს ქართუ ბანკიდან და სს თიბისი ბანკიდან მოხდა სესხის აღება კომპანიის მიმდინარე ხარჯების დასაფარად, ხოლო სს საქართველოს ბანკიდან ძირითადი საშუალებების შესყიდვის მიზნით.

12. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი კომპანიაში 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2020	31.12.2020
გაუნაწილებელი მოგება	3 373 238	3 684 208
საწესდებო კაპიტალი	202 000	202 000
სულ გაუნაწილებელი მოგება	3 575 238	3 886 208

აღნიშნული გაუნაწილებელი მოგება წარმოქმნილია 01.01.2017-დან საანგარიშო პერიოდში.

13. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

	01.01.2020	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 255 898	3 308 255
ფული და ფულის ეკვივალენტები	41 721	545 631
სულ ფინანსური აქტივები	3 297 619	3 853 886
	01.01.2020	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები	1 798 350	1 973 879
მიღებული სესხი	831 281	833 314
სულ ფინანსური ვალდებულებები	2 629 631	2 807 193

14. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სასამართლო დავა შპს არქიტექსთან, რომლისგანაც უნდა შეესყიდა ბეტონის ქარხანა და ავანსად გადაურიცხა 100 000 ლარი. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

ბუღალტერი

დირექტორი

თარიღი



ნანა სამხარაძე

ემზარ ბასილაია

26.12.2021